პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 აგვისტო, კვირა, 1989 წ.
№ 161 (10 080) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მასობრივ სპორტს — მთავარი ყურადღება!

## და კიდევ რესპუბლიკური ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების შექმნის შესახებ

**ქვეყნის** სპორტულ ორგანიზაციათა მუშაობის მთავარ მიზანს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა უნდა შეადგენდეს, რისთვისაც მთელი ძალები ხალხური სპორტის შემობრუნებას, მასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას უნდა მოვახმაროთ. ეს აწუხებს ჩვენს საზოგადოებრიობას, ხალხს, რაზეც ლაპარაკობს პრესა. ამაზე გაამახვილა ყურადღება სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნ. ი. რუსაკმა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად მთელი ქვეყნისა და მთელი საზოგადოებრიობის ძალისხმევაა საჭირო.

შეხვედრაზე სათანადო ყურადღება დაეთმო საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში მიმდინარე გარდაქმნას და დემოკრატიზაციას. ითქვა, რომ ხარისხობრივად ახალ დონეზე უნდა წარიმართოს საკავშირო და რესპუბლიკური ფედერაციების, როგორც ძლიერი საზოგადოებრივი ორგანოების, ფინანსური და იურიდიული თვალსაზრისით. ამ პროცესებით ხასიათდება ახლა სსრ კავშირის ეოკ-ი, რაც საშუალებას გვაძლევს სრულად გამოვიყენოთ საერთაშორისო სპორტული და ოლიმპიური მოძრაობის შესაძლებლობები.

ახლა ჩვენი სპორტული ორგანიზაციები რეგულარულად თანამშრომლობენ 110-ზე მეტ ქვეყანასთან. გარდაქმნის შედეგად ეს კონტაქტები უფრო გაფართოვდება, ვინაიდან გაიზრდება მოკავშირე რესპუბლიკების, სპორტული ორგანიზაციებისა და საზოგადოებების დამოუკიდებლობა. ამასთან სპორტსახკომი ნაკრები გუნდების საერთაშორისო კონტაქტებზე გადაიტანს მეტ ყურადღებას. რესპუბლიკების სპორტულ ორგანიზაციებს კი თავიანთ რეგიონებში შეეძლებათ საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება. ნ. ი. რუსაკი მიესალმა ესტონეთის სპორტულ ორგანიზაციებს ბალტიისპირეთის ქვეყნების თამაშების მოწყობის თაობაზე. მანვე აღნიშნა, რომ ახლა აზიის ქვეყნების თამაშების ორგკომიტეტთან მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის, შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის მონაწილეობაზე, რომლებიც 90-ში, [illegible] უნდა ჩატარდეს.

უპასუხა რა შეკითხვაზე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ეოკ-ის შექმნის შესახებ ნ. ი. რუსაკმა თქვა, რომ იგი წინააღმდეგი არაა ამ ფორმირების შექმნისა, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ხელს შეუწყობენ მოსახლეობის ფიზკულტურასა და სპორტში რეგულარულ მეცადინეობას, გარდა ამისა მათ შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო სპორტულ კავშირის განვითარებაში. რაც შეეხება ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას, დებულებით სსრ კავშირის ნაკრები უნდა გამოვიდეს ერთიანი გუნდით. დანარჩენ შემთხვევაში ამ რესპუბლიკების სპორტსმენებს შეუძლიათ გამოვიდნენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, სხვადასხვა დონის ასპარეზობებში.

**საქდესის მიერ გადმოცემული ეს მასალა იბეჭდება შემოკლებით.**

# იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

## მეოთხე სხდომა

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფის მორიგი, მეოთხე სხდომა გაიმართა თბილისის ჭადრაკის სასახლეში. როგორც ადრე ვიუწყებოდით, აქ საინიციატივო ჯგუფს გამოუყვეს ოთახი, სადაც „საკონსულტაციო-საინფორმაციო პუნქტიც" მოეწყობა. ამ სხდომაზე ჯგუფის მუშაობის მხარდამჭერის ბევრმა მსურველმა მოიყარა თავი. საქართველოს ეოკ-ს გამოუჩნდა კიდევ ერთი დამფუძნებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — საქართველოს სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო. ამის თაობაზე სხდომაზე განაცხადა ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ოთარ დიდებულიძემ.

სხდომაზე მოისმინეს ბრიჯის რესპუბლიკური ფედერაციის შექმნის საინიციატივო ჯგუფის ინფორმაცია. ეს ფედერაცია შექმნის შემდეგ წინადადებას შეიტანს საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანების თაობაზე. სხდომაზე გამოქვეყნდა ამჟამად ისრაელის ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელის ჯემალ სეფიაშვილის განცხადება (სრულ ტექსტს დღესვე გთავაზობთ). გადაწყდა დაჩქარდეს საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის შექმნა.

ოლიმპიური მოძრაობის გზაზე გადადგმული პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იქნება დიდი სახალხო სპორტული ზეიმი, რომელიც საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარდება. შეიქმნა ამ ღონისძიების მოსამზადებელი ჯგუფი, რომელმაც უკვე გამართა თავისი სხდომა, შეიმუშავა პროგრამის პროექტი.

საინიციატივო ჯგუფმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს ეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციისათვის მზადება. ამავე სხდომაზე ჯგუფის წევრებმა ინფორმაციები გააკეთეს ადრე მიცემული დავალებების შესრულების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**ფედერაციის საბჭოს სხდომა გაიმართება ჭადრაკის სასახლეში სამშაბათს, 17 საათზე.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფს!

დიდი სიხარულით შევიტყვე, რომ საქართველოში იქმნება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მე როგორც ამჟამად ისრაელის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი კაცი, [illegible] და [illegible].

სურვილი მაქვს, რომ [illegible] საქართველოს ეროვნული ნაკრები საერთაშორისო [illegible] ისრაელში [illegible]. ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთკავშირი არ უნდა გაწყდეს. [illegible] ამის [illegible] შესაძლებლობა [illegible].

ჯემალ სეფიაშვილი,
საერთაშორისო [illegible] სპორტის ოსტატი,
ისრაელის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, ისრაელის 18-გზის ჩემპიონი.
„ლელოს" მოყვარული.
15.08.89 წ.

# ველოსიპედი – მოკლედ

**ლიონი.** ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოდევნებით 4 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ოქროს მედალი გდრ-ის ველოსიპედისტებმა მოიპოვეს (ბლოხვიტცი, ლიეზე, ვოლფი და ფულცი) — 4.16,59. მთავარმა ფავორიტმა — სსრ კავშირის გუნდმა (ეკიმოვი, ბერზინი, ორლოვი, ნელიუბინი) ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ბრინჯაოს ჯილდო წილად ხვდათ იტალიელებს.

**როტერდამი.** ცხენოსანთა ევროპის ჩემპიონატზე (დაბრკოლებათა გადალახვა) პირველ წარმატებას მიაღწიეს ინგლისელებმა. ჯონ უპაიტეკერმა მარშრუტი საჯარიმო ქულის გარეშე გაიარა, თანაც ყველაზე კარგი დრო აჩვენა. გუნდურ ჩათვლაშიც წინ ინგლისელები იყვნენ.

**ჟენევა.** პოპულარული ველორბოლის „ვილგელმ ტელის" მეექვსე ეტაპი შვეიცარიელმა მარკუს ებერლიმ მოიგო. მან 170 კმ 4.28.05-ში გაიარა.

**ოტავა.** მრავალდღიანი ველორბოლის „სონი ტურ დიუ კანადა" ექვსი ეტაპის შემდეგ გორკელი ანდრეი სიტნოვი მეორე ადგილზეა. იგი ლიდერს — დანიელ პროფესიონალს ჯეფ ოლსენს 17 წამით ჩამორჩება.

# ხუთი წლის შემდეგ

**სპორტში** და კერძოდ მძლეოსნობაში მოვლენები სწრაფად იცვლება და ახალი რეკორდები „დაღვინებას" ვეღარ ასწრებს. გამონაკლისია მხოლოდ ფენომენალური ამერიკელი სიგრძეზე მხტომელის რობერტ ბიმონის მიღწევა, რომელიც თვით მეხიკოს ოლიმპიადიდან, ე. ი. 1968 წლიდან ხელშეუხებელია.

10 კმ-ზე რბენაში ბოლო მსოფლიო რეკორდს, რომელიც პორტუგალიელ ფერნანდო მამედეს ეკუთვნოდა, სულ 5 წლის სიცოცხლე ეწერა. იგი გუშინ დაამხო 25 წლის მექსიკელმა ინჟინერმა არტურო ბარიოსმა დასავლეთ ბერლინში გამართულ მძლეოსანთა უდიდეს ტურნირზე. მექსიკელმა სტაიერმა 10 ათას მეტრზე 27.08,24 აჩვენა და 5,57 წამით „გაუსწრო" მამედეს მიღწევას. დასავლეთ ბერლინში, სადაც შეჯიბრება „გრან პრის" პროგრამით ტარდება, თავი მოიყარა მსოფლიოს ბევრმა უძლიერესმა მძლეოსანმა და ალბათ მალე სხვა მაღალ მიღწევებსაც შეგატყობინებთ.

# გაზეთის დაბეჭდვის წინ

**როცა** გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, კიდევ რამდენიმე საინტერესო ცნობა მივიღეთ დასავლეთ ბერლინიდან: მოულოდნელად დამარცხდა მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა, მან საწყისი სიმაღლე — 560 სმ ვერ დასძლია (!). აქ გაიმარჯვა ამერიკელმა ტიმ ბრაიატმა — 575 სმ.

კიდევ ერთი სენსაცია: ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს უროს ტყორცნაში იური სედიხს აჯობა დასავლეთგერმანელმა ჰაინც ვაისმა — 82,84 მ, სედიხი მეორე იყო — 81,14 მ. სამხტომში უძლიერესი იყო ამერიკელი მაიკ კონლი — 17,58 მ, სიგრძეზე ხტომაში — სახელგანთქმული კარლ ლუისი — 8,38 მ.

# მსოფლიო უნივერსიადა

**ფაქტობრივად** ახალი ოლიმპიური ციკლი იწყება მასშტაბური კომპლექსური სპორტული ღონისძიებით — მსოფლიო უნივერსიადით, რომელიც ამ დღეებში გაიმართება დასავლეთ გერმანიის ქალაქ დუისბურგში. ასპარეზობა გაიხსნება 22 აგვისტოს და 9 დღეს გასტანს.

# იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი კრივში

## პირველად...

**საბჭოთა** სპორტსმენებიდან მხოლოდ ზემძიმე წონის (+90 კგ) თბილისელმა არმენ ბურდიანცმა მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი — იუწყება ქ. ბაიმონიდან (პუერტო-რიკო) მიღებული ცნობა. ამ ქალაქში, როგორც იცით, დამთავრდა იუნიორ მოკრივეთა მსოფლიო პირველობა. ბურდიანცმა გადამწყვეტ ბრძოლაში აშკარა უპირატესობით სძლია კუბელ ვალდო დე ლა კრუსს. ასეთი გამარჯვება პირველია ჩვენი რესპუბლიკის კრივის ისტორიაში.



დანარჩენი საბჭოთა ფინალისტები ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ. ესენი არიან: ალმაათელი მურატ კასენოვი (54 კგ), ბროვაროველი იური რაზუმოვი (81) და ა. ბურდიანცის თანაქალაქელი დ. ავდალიანი 91 კგ-მდე, (ორივე — თბილისის „შრომითი რეზერვები").

ასპარეზობაზე ყველაზე მეტ ოქროს მედლებს კუბელი მოკრივეები დაეპატრონენ — 5. უძლიერესის სახელები მოიპოვეს ე. კასამაიორმა (54), რ. ალვარესმა (81), ა. ერნანდესმა (67), ლ. ბედეტმა (71), რ. გარბეტმა (75). დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ: ბულგარელი დ. პეტროვი (48), ფრანგი ნ. მონში (51), პუერტორიკოელები ქ. ფებრესი (57), ა. აჩევედო (60) და გდრ-ის წარმომადგენელი ე. ბერგერი (63,5).

**ს უ რ ა თ ზ ე: 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის ა. ბურდიანცი.**

# სტარტამდე ცოტაღა დარჩა

**ლონდონი.** 2 სექტემბერს პორტსმუტში სტარტს აიღებს იალქნიანი ნავების მეხუთე ტრადიციული რბოლა მსოფლიოს გარშემო, რომელშიც 29 სხვა იახტასთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ფოთში აშენებული ნავი „ფაზისი-პეპსი". ამ ოთხშაბათს იახტა გაშლილი აფრებით ლონდონში ჩავიდა და იქ დროებით ტაუერის მიდამოებში დაბინავდა.

ნავს ჰყავს ორი კაპიტანი: ალექსი გრიშჩენკო (სსრ კავშირი), და სკიპ ნოვაკი (აშშ). ნოვაკი საკმაოდ გამოცდილი მეზღვაურია, გავლილი აქვს 200 ათასი მილი, ამიტომაც მის აზრს ნავის შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: იახტა გამოირჩევა ბრწყინვალე სისწრაფით, — განაცხადა მან, — რაც ამ ტიპის ნავებისათვის ერთობ იშვიათია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ეკიპაჟი რბოლაში თავს გამოიჩენს. ფოთში ეს იახტა საკმაოდ სწრაფად და მაღალხარისხიანად ააგეს.

ეკიპაჟი რბოლისთვის მზად არის. შეჯიბრების მონაწილეები თავდაპირველად გადასერავენ ატლანტის ოკეანეს და ურუგვაიში ჩავლენ, მერე გაივლიან ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, შემოუვლიან ჰორნის კონცხს, დაბრუნდებიან ურუგვაიში და აქედან აშშ-ს ნაპირების გავლით ინგლისში ჩავლენ.

რბოლაში მონაწილეობს ერთი უჩვეულო ეკიპაჟიც, რომელსაც აფინანსებს კამპანია „როტმანსი", იგი მთლიანად ქალებითაა დაკომპლექტებული.

# ველით ჩივაძის მატჩს!

**დიდი** სიხარულით გავეცანით „ლელოს" ფურცლებზე დ. ლოლაძის წინადადებას თბილისში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის ა. ჩივაძის დამსახურების აღსანიშნავი მატჩის ჩატარების შესახებ. მოდით, ნუ გადავდებთ ამ საქმეს. ქართველებს შეგვწევს უნარი მოვაწყოთ კარგი სპორტული ზეიმი, ჩავრთოთ ამ საქმეში ჩვენი ცნობილი რეჟისორები და ხელოვნების სხვა მუშაკები. დაე, ეს იყოს საქველმოქმედო მატჩი და შემოსავალი გადაირიცხოს საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში, ასეთია ჩვენი წინადადება.

**გიორგი ქავთარაძე, ირმა ჟანტურია, მაია კარგელაშვილი,**

**სტუდენტები, თბილისი.**

სახ. საჯ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახტის წრეში

# ვის აძლევს ხელს ასეთი აურზაური?

ამას წინათ რედაქციაში მივიღეთ განაწყენებულ მშობელთა მიერ გამოგზავნილი წერილი ოზურგეთიდან. მასში ლაპარაკია „სიჭაბუკის თასზე“ ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელსაც ჩხოროწყუს სტადიონი მასპინძლობდა. ოზურგეთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელთა გუნდი მორიგ კალენდარულ მატჩს ატარებდა ჩხოროწყუელ თანატოლებთან (1974-75 წწ. დაბადებულნი).

თამაშზე დამსწრე ოზურგეთელ ფეხბურთელთა მშობლები აღშფოთებით გვწერენ აქ მომხდარი ინციდენტის შესახებ. კერძოდ: „ამ გუნდების პირველი შეხვედრა, რომელიც ოზურგეთში გაიმართა, დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 3:0. თამაშს სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯთა ბრიგადა და არავითარი ინციდენტი და მიკერძოება ამ შეხვედრაში არ ყოფილა. ჩვენმა ფეხბურთელებმა ყველაფერში აჯობეს მეტოქეს, რაც ანგარიშშიც თვალნათლივ აისახა.

ჩხოროწყუში ჩატარებული მატჩი კი მიკერძოებულად ჩატარდა, ადგილობრივმა მსაჯმა, რომელმაც ყურად არ იღო ჩვენი თხოვნა, არც მსაჯის მოწმობა გვიჩვენა, არც თავისი ვინაობა გაგვანდო, ისე წარმართა მთელი შეხვედრა, რომ მცირე შანსიც არ დაგვიტოვა, გვეფიქრა რაიმე წარმატებაზე. უკვე პირველსავე წუთებზე დაინიშნა თერთმეტმეტრიანი ჩვენს კარში, დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა იმავე მოთამაშეს, რომელმაც საჯარიმო შეასრულა. ამ უკანასკნელმა ამჯერად ზუსტად დაარტყა. გოლი ჩაითვალა, რაც საფეხბურთო წესებით სწორი არ არის. მასპინძლებმა დაიწყეს უხეში თამაში, რასაც ჩხოროწყუელთა გუნდის მწვრთნელი გამხნევებით უბამდა მხარს. ამას ემატებოდა მოხულიგნო ელემენტების შეძახილები, გინება, უშვერი სიტყვები. მატჩი უაზრო ძალადობაში გადაიზარდა, რამდენიმე წუთში კვლავ ინიშნება თერთმეტმეტრიანი ჩვენს კარში, რის შემდეგაც ანგარიში ორამდე იზრდება. პირველი ნახევრის მე-40 წუთზე (შეგახსენებთ, ტაიმები 35-35 წუთს გრძელდება) მასპინძლებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს. პირველი ნახევრის დასასრულს ოზურგეთელ ფეხბურთელთა უმეტესობა დაშავდა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ამის მიზეზი იყვნენ ჩხოროწყუელი ფეხბურთელები, რომლებიც ასაკით აშკარად უფროსები ჩანდნენ სტუმრებზე.

ამ შეხვედრას არ ესწრებოდა არც ერთი წესრიგის დამცველი, რომლებიც ნაწილობრივ მაინც აღკვეთდნენ უწესრიგობას სტადიონზე. ნუთუ ეს სპორტია? ვის სჭირდება ასეთი გამარჯვება?

მოვითხოვთ მატჩი ჩატარდეს თუკი ეს შესაძლებელია, ნეიტრალურ მინდორზე, შეხვედრას მოემსახუროს კვალიფიციურ მსაჯთა ბრიგადა, დაესწროს წარმომადგენელი ფეხბურთის სამმართველოდან. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შევძლებთ დავამტკიცოთ ჩვენი სიმართლე“.

წერილს ხელს აწერს ამ შეხვედრის დამსწრე 8 მშობელი.

**კორესპონდენტი განმარტავს:**

**მატჩს** ესწრებოდა ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ნუგზარ ქვანია, რომელსაც ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინა მატჩისთვის.

ადრე გაზაფხულზე დამთავრდა სიჭაბუკის თასის გათამაშების ზონალური პირველობა 1974-75 წლებში დაბადებულთა შორის. ზონაში გამარჯვებული კოლექტივები ახლა რესპუბლიკური ასპარეზობის ფინალის საგზურებისთვის იბრძვიან. ზუგდიდის ზონაში პირველი ადგილი ჩხოროწყუს ნორჩმა ფეხბურთელებმა დაიკავეს და შემდგომ ეტაპზე ოზურგეთელ თანატოლებს შეხვდნენ. პირველი მატჩი ოზურგეთში მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 3:0. საპასუხო შეხვედრაში, ჩხოროწყუში მოსწავლეებმა შეძლეს რევანშის აღება. პირველ ნახევარს ისინი უკვე ანგარიშით 3:0 უგებდნენ მეტოქეს. ოზურგეთელებმა მეორე ნახევრის გაგრძელება აღარ მოინდომეს. მშობელთა ჩარევით გუნდის ხელმძღვანელებმა ბავშვები ავტობუსში ჩასხეს და წავიდნენ. მხოლოდ გზაში შევძელით დავწეოდით განაწყენებულ სტუმრებს, და გავსაუბრებოდით ოზურგეთელთა მწვრთნელ ათანდილ დობორჯგინიძეს. აი, რა თქვა მან: „თბილისიდან დანიშნული მსაჯები არ ჩამოვიდნენ. ადგილობრივი მსაჯები კი, როგორც ეს ხშირად ხდება, ტენდენციურობას იჩენდნენ. მიუხედავად ამისა, მე, როგორც მწვრთნელს, არ მინდოდა შეხვედრის მიტოვება, მაგრამ მშობლებმა მაიძულეს გადამედგა ეს ნაბიჯი“.

ახლა კი ვეცდები განვუმარტო მკითხველს, რა მოხდა იმ დღეს სტადიონზე. საგანგაშო არაფერი, მე-5 წუთზე სრულიად სამართლიანად დაინიშნა 11-მეტრიანი, ჯარიმა დაარტყა ჩიქობავამ, ბურთი ძელს მოხვდა და დაუბრუნდა ჯონჯარაძეს, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში. სწორედ ამ ბურთის შემდეგ ატეხეს ვაი-უშველებელი სტუმრებმა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მშობლები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ძელს მოხვედრილი ბურთი გაიტანა იმ მოთამაშემ, რომელმაც საჯარიმო დარტყმა შეასრულა. სინამდვილეში ასე არ ყოფილა. მშობლებს არაერთხელ მოუწოდეს წესრიგისაკენ, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ ხულიგნურ გამოხტომებს, მსაჯის ყოველ გადაწყვეტილებას დემონსტრაციულად აპროტესტებდნენ, ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როცა მოთამაშეთა არავითარი უხეშობა არ ყოფილა. ოზურგეთელები ამ დღეს მეტოქეზე აშკარად სუსტად გამოიყურებოდნენ და პირველ ნახევარში მათს კარში გასული სამი ბურთი ლოგიკური შედეგი იყო. მეორე ნახევარი სტუმრებს აღარ უთამაშიათ.

როცა გუნდი მინდორს ტოვებს, მას უნდა ჰქონდეს განაწყენების მიზეზი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პროტესტსაც აქვს თავისი ფორმა, ნუთუ ელემენტარული წესიც არ იცოდნენ გუნდის მესვეურებმა, რომ ოქმში განაწყენების მიზეზი მაინც ჩაეწერათ?

**ოზურგეთელ მშობელთა მიერ რედაქციაში გამოგზავნილი კოლექტიური წერილის კომენტარი ვთხოვეთ ფეხბურთის სამმართველოს ბავშვთა განყოფილების უფროს მწვრთნელს გურამ გვანცელაძეს.**

— „სიჭაბუკის თასის“ რესპუბლიკური გათამაშების პირველ შეხვედრაში, რომელიც ოზურგეთში გაიმართა ადგილობრივ და ჩხოროწყუელ თანატოლებს შორის, საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიას არბიტრები არ დაუნიშნავს, — გვითხრა მან — იმავე დღეს ოზურგეთში გაიმართა საქართველოს პირველობის II ჯგუფში მოასპარეზე ადგილობრივი გუნდის „დვაბზუს“ კალენდარული მატჩი, რომელსაც ემსახურებოდა პირველი კატეგორიის არბიტრი თბილისელი გ. თხელიძე. სწორედ მას სთხოვეს ემსაჯა ოზურგეთელ და ჩხოროწყუელ ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრაში.

ვიმეორებ, ანალოგიურ შეჯიბრებებზე ფეხბურთის სამმართველო მსაჯებს არ ნიშნავს. ამ მატჩებზე მსაჯობა ევალებათ ადგილობრივ არბიტრებს ან თამაშის მონაწილე გუნდების მწვრთნელებს. იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ ქალაქში მიმდინარეობს კალენდრით გათვალისწინებული რაიმე მატჩი, ამ მატჩის არბიტრებს სთხოვენ წარმართონ მოზარდთა შეჯიბრებები. ასე მოხდა ოზურგეთშიც, სადაც გ. თხელიძე დათანხმდა მატჩის ჩატარებაზე.

არავითარი საჩივარი ფეხბურთის სამმართველოში ოზურგეთელთა მხრიდან არ შემოსულა. მინდა შევახსენო ნორჩ ოზურგეთელ ფეხბურთელთა მშობლებს, რომ ჩხოროწყუელთა გუნდმა ამ საინტერესო გათამაშებაში ღირსეულად დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. ამ ადგილისათვის ბრძოლაში მან თბილისის „ავაზას“ სძლია.

**რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, მშობლები კვლავ ერევიან მწვრთნელების საქმეში, აიძულებენ მათ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებაც კი, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება სპორტულ ეთიკას. ოზურგეთელ მშობელთა გვარებს ჩვენ განგებ არ ვასახელებთ. რაიონში, საიდანაც პასუხს მოველით, არ გაუჭირდებათ მათი ვინაობის დადგენა.**





# +1 ჩვენი სოფლის არენა

**კეთილი** ჩანაფიქრი ან იდეა მაშინ ხორციელდება, თუ მას ხალხის მხარდაჭერა აქვს.

ხაშურის რაიონის ოსიაურის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ტარიელ გაგნიძემ საჭიდაო არენის აგება გადაწყვიტა და განზრახვა თანასოფლელებს გააცნო. სოფელმაც მხარი დაუჭირა, სხვა რომ არაფერი, თუკი ახალგაზრდებს დასვენების, გართობისა და გავარჯიშების პირობები ექნებათ, სოფელს ნაკლებად მიატოვებენო.

ასე [illegible] სოფლის მესვეურებმაც. გამოინახა ადგილი ქვემო და ზემო ოსიაურის ცენტრში, არენის აგება ინჟინერმა ე. ტუსიაშვილმა ითავა. მშენებელთა ბრიგადას ახალგაზრდებიც ამოუდგნენ მხარში და დიდი მონდომებით იმუშავეს.

სარბიელს საფუძველი გასულ წელს ჩაეყარა. აიგო რკინის კონსტრუქციები, გაკეთდა 1200 სკამი, მოეწყო ფეხზემდგომთა ტრიბუნაც. ნაგებობის დახურვას წელს, გაზაფხულიდანვე შეუდგნენ. შეიკრა რკინის სახურავი და თუნუქით დაიფარა, მშენებლებმა დაამონტაჟეს განათება, მოაასფალტეს მისასვლელი გზა და მოაწყვეს ავტოსადგომი.

მთელი სოფელი მოვიდა საჭიდაო არენის „ნათლობაზე“, იყვნენ სტუმრები მეზობელი რაიონებიდან.

ჭიდაობის ზეიმი გახსნა ოსიაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ სერგო ხაბელაშვილმა. მან სოფლის მოსახლეობის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ოსიაურის კოლმეურნეობის გამგეობას ასეთი კარგი საჩუქრისათვის, ქებით მოიხსენია დურგალი ტარიელ ბუხრიკიძე, ელექტროშემდუღებელი ნოდარ ამირხანოვი, მუშები: ზვიად ბეგიჯანაშვილი, ავთანდილ ლაცაბიძე, პლატონ ხარზიშვილი, მძღოლი ნოდარ ბუხრიკიძე, საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომელნიც აქტიურად ეხმარებოდნენ ხელოსნებს: რაულ ახალკაცი, მამუკა ალიბეგაშვილი, რამაზ კარაპეტოვი და სხვები.

გაიმართა საინტერესო და დაძაბული ასპარეზობა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს ოსიაურელებმა კამო და ბუხუტი ბუხრიკიძეებმა. აძვირელმა ლევან კიპაროიძემ, გომელმა გია გაგნიძემ, ქარელელებმა ვიტალი მჭედლიშვილმა და მამუკა მასურაშვილმა, ვაყელებმა იური ბაბანასოვმა, ზვიად მეზურნიშვილმა და ბეგლარ ხარშილაძემ.

მაშ ასე, რაიონის სპორტულ ბაზებს შეემატა კიდევ ერთი კარგი საჭიდაო არენა. იმდენმა ოსიაურელმა მოსწავლემ იჭიდავა იმ დღეს, რომ გვჯერა, მათ შორის გამოჩნდებიან ისეთებიც, ახლო მომავალში რესპუბლიკასაც რომ ასახელებენ.

**ბელა ნოზაძე.**
**ოსიაურის საშუალო სკოლის დირექტორი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.**

* * *

**სურათებზე: სოფელ ოსიაურის საჭიდაო სარბიელის გარეხედი; ასპარეზობენ ახლადგახსნილ არენაზე.**

ქართული პრესა წერდა...

# აქლემების, სახედრების, სპილოებისა და მტრედების დოღი

**როგორც ცნობილია, ჩვენში დოღი და მარულა ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობაა. მაგრამ ყველგან როდია ასე. მაგალითად, არაბეთის ქვეყნებში და ალჟირში აქლემების დოღიც იყო მიღებული. ინგლისელებმა ინდოეთში სპილოების დოღი შემოიღეს, ფრანგებმა სახედრების მარულაც გამართეს და ა. შ. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ძველი ქართული გაზეთები. გადავხედოთ ზოგიერთ მათგანს.**

„**ამას** წინათ ალჟირში გაუმართავთ აქლემების დოღი. სამმა აქლემმა ტუგგურტიდგან ბისკრამდე 225 ვერსი გაიარეს თურმე 27, 29 და 30 საათის განმავლობაში: ანგარიშით, ორთა-შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, თითო აქლემს საათში 8,7-7,5 ვერსი გაურბენიათ. ამის გამო ალჟირის მთავრობას გადაუწყვეტია, რომ აქლემები სამხედრო საქმისათვის მოიხმაროს და რამდენიმე რაზმი მოამზადოს ჯარისა, რომლის ჯარისკაცნიც აქლემებზე ისხდებიან და ამხედრდებიან“.

**„ივერია“, 1887 წ. 20 სექტემბერი.**

„**საფრანგეთში** მოდად შედის თურმე სახედრების მარულა. რადგან პარიჟში 12 სახედარზე მეტი ვერ უპოვნიათ, წასულან პროვინციაში და მოუგროვებიათ 60-მდე სახედარი“.

**„ივერია“, 1888 წ. 13 ივლისი.**

**(საფრანგეთი).** „დეკემბრის დამდეგს იყო დანიშნული „ვირების დოღი“, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ოცმა მხედარმა. დანიშნული საჩუქარი აიღო ვიღაც ანდრემ... უსათუოდ ეს საჩუქარი ავლაბრელ „გოგრონხას“ ერგებოდა თავისი ვირით რომ წასულიყო“.

**„თეატრი“, 1887 წ. № 2.**

„**როგორც ვუწყით,** ევროპასა და ამერიკაში ცხენის დოღი ძალიანაა გავრცელებული. ზოგნი მეტად დიდ ფულს იგებენ დოღების დროს. ამერიკაში ამ ახლო მომავალს ერთი დოღი მოხდება. იმ ცხენის პატრონს, რომელიც პირველად დანიშნულ ადგილას მივა, მიეცემა 120.000 მანეთი.

ინგლისელებმა ინდოეთში სპილოების დოღი შემოიღეს. ასეთი დოღი ამასწინად გაუმართავთ იქ. უზარმაზარი სპილოები ხორთუმების ქნევით ძალზედ გარბოდნენ თურმე. ჟოკეები სპილოებს კისრებზეც ესხდნენ“.

**„ივერია“, 1901 წ, 17 ივლისი.**

„**მტრედების დოღი.** ამას წინედ რუსეთის პირუტყვების და მცენარეების მოშენების საზოგადოებამ მოსკოვში გამართა მტრედების საფოსტო დოღი. მანძილი 228 ვერსი იყო დანიშნული. გაშვებული იქნა 37 მტრედი. თუმცა ამინდი ხელს არ უწყობდა სიცხით და პირ-ქარით, მაინც უსწრაფესმა მტრედმა საათში იფრინა 45 3/5 ვერსი, ე. ი. ზედ მიწევნით 228 ვერსს ხუთი საათი მოანდომა“.

**„ცნობის ფურცელი“, 1897 წ. 10 ივლისი.**

„**ინგლისში** ხშირად იმართებოდა მარულა ფურ-ირემსა, მონადირე ძაღლსა და ქათამს შორის.

ვიღაც დეპუტატს პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მეთაურს შეუტანია საჩივარი ინგლისის დეპუტატთა პალატაში აიკრძალოს ასეთი ტანჯვა პირუტყვებისა. ამაზე უარი უთხრეს კონსერვატორების კაბინეტმა“.

**„ივერია“, 1888 წ. 17 ივლისი.**

**კალიფორნიაში** დღესაც არის სტადიონი — სირაქლემოდრომი, სადაც იმართება მარულა სირაქლემებს შორის.

სირაქლემებით მარულის პირველი რეკორდი უდრის 65 კმ. საათში.

**პუბლიკაცია მოამზადა ხულიკო ნუცუბიძემ.**

# ვარჯიშობენ... უმწვრთნელოდ

**მხოლოდ** ოთხი გუნდი მონაწილეობდა ბათუმში, ანგისას სპორტულ კომპლექსზე გამართულ მშვილდოსანთა რესპუბლიკურ პირველობაში იუნიორთა შორის. ეს იყო თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდისა და აჭარის ნაკრებები. მონაწილეთა ასეთი „სიმეჩხრე“, საქართველოში სათანადო ბაზების უკიდურესი სიმცირით აიხსნება, ამასთან, ზუგდიდში ერთი მწვრთნელიც კი არ გვყავს, მაგრამ ბავშვები მშვილდოსნობას მაინც ვერ ელევიან.

შეჯიბრება ორგანიზაციული თვალსაზრისით მაღალ დონეზე ჩატარდა (მთავარი მსაჯი რ. ფირცხალავა). გოგოებს შორის I ადგილი დაიკავეს თბილისელმა მშვილდოსნებმა (ე. აბაიშვილი, ლ. მოჩნევა, ნ. გრიგორიანი) — 710 ქულა. II ადგილზე გავიდა აჭარის ნაკრები — 603, III იყო ქუთაისის გუნდი — 370.

სამაგიეროდ, ვაჟთა შეჯიბრებაში მასპინძლებმა იმარჯვეს (მ. ბასილაძე, ზ. ბერიძე, დ. ალექსანდრიდი) — 851 ქულა. თბილისელმა და ზუგდიდელმა სპორტსმენებმა შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს — 719 და 616 ქულა.

**ომარ ხუფაცარია,**
**სპორტის ოსტატი, ზუგდიდის გუნდის უფროსი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

## სისტემა უნდა შეიცვალოს

**მიმდინარე** ოლიმპიურ ციკლში გამართული მოცურავეთა მთავარი შეჯიბრებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ნაკრების დონე საკავშირო სტანდარტებს კვლავ უსაშველოდ ჩამორჩება. მაგალითად, ჩვენმა მოცურავეებმა IV ახალგაზრდულ საკავშირო სპორტულ თამაშებში XIII ადგილი დაიკავეს, რაც, რაღა თქმა უნდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ჩვენი მოცურავე ქალების ჩამორჩენა.

როცა ცურვის პრობლემებზე ვსაუბრობთ, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა, სამწუხაროდ, ამ შესაძლებლობებს აშკარად ვერ ვიყენებთ. ნაკრები გუნდები სრულფასოვან ცვლას ვერ იღებენ, მთელი რიგი ქალაქებიდან კი შევსება საერთოდ არ ჩანს, ახლა ნაკრებში სოხუმიდან და ქუთაისიდან მხოლოდ თითო მოცურავეა. ისეთი რაიონებიდან და ქალაქებიდან, როგორებიცაა ბათუმი, რუსთავი, ტყიბული, ჭიათურა და ხობი, ნაკრებში ვერავინ ხვდება. არადა, აქ მეტნაკლებად კარგი აუზებია გათბობით. თუ სადმე გათბობის მხრივ შეფერხებაა, ეს, უწინარეს ყოვლისა, ისევ საქმისადმი ადგილობრივი ხელმძღვანელების გულგრილი დამოკიდებულების შედეგია.

რესპუბლიკას, რომელიც ზღვის პირას მდებარეობს, აუზებიც აქვს და კარგი სპეციალისტებიც ჰყავს, ვალდებულია და შეუძლია კიდეც, რომ ოდინდელი პოზიციები დაიბრუნოს. საამისოდ საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მივაქციოთ მასობრიობას, მატერიალურ უზრუნველყოფას, აუზების გამართულ მუშაობას, ლიდერი მწვრთნელების გამოვლინებას და სპორტის ამ სახეობის განვითარების სისტემის შემუშავებას. ეს ყველაფერი შეესაბამება ასეთ ფორმულას: სპორტული ბაზა — მუშაობის სისტემა (მასობრიობა, სელექცია, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლა) — კადრები (ლიდერი მწვრთნელი) — მატერიალური უზრუნველყოფა. თუ ამ ფორმულიდან ერთ-ერთი ამოვარდა, მაშინ სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. ასეთი მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალისტების ხელშეწყობით, უფრო სწორედ, კადრები ყველაფერს წყვეტენ.

როცა ცურვის განვითარების მესაჭისთვის კანდიდატურას ვარჩევთ, მისი განათლებისა და ანკეტური მონაცემების გარდა, ჩემი აზრით, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ რა პროგრამა აქვს სპეციალისტს, რა სისტემას გვთავაზობს და საერთოდ ცოდნის რა მარაგით მოდის. მთავარმა მწვრთნელმა თავისი მომავალი მუშაობა მეცნიერულ საფუძვლებზე უნდა განსაზღვროს. ან უნდა გამოიმუშაოს ისეთი სისტემა და მექანიზმი, რომელიც სპორტსმენის ოსტატობას გაზრდის და არც ისე, რომ მხოლოდ ფიქსაცია მოახდინოს აქ ცუდი მუშაობაა, სადღაც კი კარგიო.

ერთ დროს ჩვენ კარგი მოცურავეები გვყავდა, მათ შორის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, სსრ კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები, ევროპის ჩემპიონებიცა და პრიზიორებიც. ესენი იყვნენ თ. ლეკვეიშვილი, ბ. ნიკიტინი, ა. ტუტაკაევი, ე. ღიბრაძე, ნ. ჭუმბაძე, ლ. ფაჩულია, რ. არკადიევა ი. ფუნიკოვი, ი. ლისეცკი, ი. კუშპელიოვი, ი. იოაკიმიდი, დ. იაკოვლევი (თბილისი), პ. ბრეუსი, ა. ანტონიანი, ვ. ომელჩენკო, ვ. კრასკო (ბათუმი), ი. გერასიმოვა (ქუთაისი)...

ჩვენი ცურვის ჩამორჩენა განაპირობა იმან, რომ სპორტის ამ სახეობის განვითარებას სათავეში ჩაუდგა არაკომპეტენტური ხალხი — განყოფილების ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელები.

ამ ხალხმა არ იცოდა, საქართველოს ცურვის განვითარების საფუძვლები და მათ საქმიანობას ძირითად ნაკრების ვიწრო ინტერესები შეადგენდა. არადა, ცურვა სპორტის ყველა საწყლოსნო სახეობათა საფუძველია. ცურვა სჭირდება წყალბურთელსაც, წყალში მხტომელსაც, სინქრონული ცურვის ოსტატსაც... ერთი სიტყვით, არ გვეყოლება კარგი მოცურავე, არ გვეყოლება კარგი წყალბურთელი, წყალში მხტომელი, სინქრონული ცურვის ოსტატი...

როგორც ჩანს, ჩვენი წარუმატებლობები განაპირობა იმანაც, რომ წლების განმავლობაში ცურვის პრობლემებზე გამართულ თათბირებზე ყველა ცდილობდა საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარების გამოუვალი მდგომარეობა დაეხატა. და ეს მაშინ, როცა თავად იყვნენ ვალდებულნი, რომ მდგომარეობა გამოესწორებინათ.

საქართველოში ცურვის განვითარებისთვის მიღებულმა გადაწყვეტილებებმა — რეგიონების მიმაგრებამ სპორტსაზოგადოებებთან და უწყებებთან, მიგვიყვანა მასობრივი მუშაობის დაქვეითებასთან, დაიკარგა კონკურენცია.

წლების განმავლობაში რესპუბლიკის №3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლა მხოლოდ საქართველოს ნაკრებთან მუშაობითაა დაკავებული, ავიწყდება, რომ ის და სწორედ ისაა ვალდებული ხელი შეუწყოს მწვრთნელების მომზადებას. ამ სკოლაში ფორმალურად კი არა, არამედ რეა-



ლურად უნდა მუშაობდეს მუდმივმოქმედი მეთოდური ცენტრი, სადაც იმუშავებენ იმათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ვისაც სპორტთან კავშირი აქვს.

საქართველოში ცურვის ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ როგორც უკვე ითქვა, არა გვყავს ლიდერი მწვრთნელები, წინათ კი ასეთები ცოტანი როდი იყვნენ, მაგალითად, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები: ლ. იოაკიმიდი, რ. ტატიშვილი, შ. მუსასტიკოვი, პ. იოსელიანი, ე. ალექსეენკო; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები გ. კალანდაძე, ა. სადრონოვი, ი. კოიფმანი, ვ. იუხანევიჩი, კ. პოტაპოვი, კ. რეშეტნიაკი, გ. კარბუკოვი, ვ. ივანოვი... ბევრი მათგანი სხვა რესპუბლიკებში გადავიდა, იქ ავტორიტეტი მოიპოვა და ახლა ჩვენ გვიწევს კონკურენციას.

იქნებ ბევრმა არც იცოდეს, რომ ცურვაში პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი გ. პროზუმენშიკოვა (ტოკიო, 1964 წ.) აღზარდა თბილისელმა მწვრთნელმა ა. ალექსეენკომ, რომელიც წინათ საქართველოში ცხოვრობდა.

უნდა ითქვას, რომ ყველა ზემოხსენებულმა მწვრთნელმა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა. რომ ვიხსენებ ჩვენს ცნობილ სპეციალისტებს, რომლებსაც იოლად შეველიეთ, მინდა ვთქვა, რომ ასეთი მწვრთნელები აღარ უნდა დავკარგოთ. მათ ყველა პირობა უნდა შევუქმნათ და შრომაც ღირსეულად დავუფასოთ.

იმ დაკარგულ მწვრთნელთა სანაცვლოდ ვინ მოვიყვანეთ? ე. ზაიცევი ვლადიმიროვიდან? კი მაგრამ, საქართველოში რა გააკეთა მან, როგორც მწვრთნელმა?

მისი საეჭვო ავტორიტეტი ჩვენმა მომავალმა მოიგონა, რათა აწმყოთი ესარგებლა. უნდა გავიხსენოთ, რომ, როცა ჩვენ, ასე თუ ისე, შედარებით გვილხინდა, მაშინ საკუთარი მწვრთნელები და მოცურავეები გვყავდა.

ამიტომ უმჯობესია მთელი ყურადღება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს მივაპყროთ და მუშაობის პირობები შევუქმნათ.

იმაშიც უნდა დავრწმუნდეთ, რომ ყველასგან არ შეიძლება კარგი მწვრთნელი დადგეს.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ახალგაზრდა მწვრთნელებს გამოცდილ სპეციალისტებს 3-4 წლით მივამაგრებთ როგორც ასისტენტებს. ამ ხნის შემდეგ სპეციალისტი დაასკვნის თავისი ასისტენტისაგან რა გამოვა. ყოველივე ამით ორივე მხარე მოგებული დარჩება — ერთი ისწავლის, გამოცდილებას შეიძენს, მეორე თავისი მუშაობისთვის მოცურავეთა საჭირო რეზერვს მოამზადებს.

ამას რომ ვამბობ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წინათ ჩვენი ლიდერი მწვრთნელები თავის აღსაზრდელებთან ერთად მთელი 11 თვის განმავლობაში საწვრთნელ შეკრებებზე და ასპარეზობებზე დადიოდნენ და სრულფასოვანი ცვლის მოსამზადებლად დრო აღარ რჩებოდათ. მერე, როცა მათი აღსაზრდელები სარბიელს ემშვიდობებოდნენ, აღმოჩნდებოდა, რომ ლიდერი მწვრთნელი ცარიელზე რჩებოდა. დიახ, ასეთ მწვრთნელს არავინ ეხმარებოდა. პირიქით, მისი მოშურნეები და განაწყენებული მწვრთნელები, რომლებსაც თავად არაფერი გაუკეთებიათ, კარგ სპეციალისტს აიძულებდნენ „საჭყუმპალაოში“ ემუშავა და იქ თავისი კვალიფიკაციაც დაეკარგა და საკუთარი თავის რწმენაც.

ვფიქრობ, საჭიროა მწვრთნელთა კვალიფიკაციის გადასინჯვა და მათი შრომის არა საათებით ანაზღაურება, არამედ სპეციალისტის ხელფასის განსაზღვრა გამოცდილებისა და შრომის ნაყოფიერების ეფექტით, საჭიროა რესპუბლიკაში მოცურავეთა აღზრდის მთელი სისტემის შეცვლა.

ახლანდელი სისტემით, რომელიც 1966 წლიდან არსებობს, სპორტსაზოგადოებები და უწყებები თავიანთ საუკეთესო აღსაზრდელებსა და მწვრთნელებს რესპუბლიკის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლას გადასცემენ. ამით სპორტსაზოგადოებები და უწყებები ფაქტიურად თავიანთ საუკეთესო სპეციალისტებს კარგავენ.

მდგომარეობის გამოსასწორებლად მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდები საქართველოში პერიოდულად უნდა მოვიწვიოთ, რათა მათთან ერთად ვარჯიშით ჩვენც პრაქტიკული დახმარება მივიღოთ. საჭიროა ჩავატაროთ შესარჩევი შეჯიბრებები იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მოცურავეთა სექციებში არ არიან გაერთიანებულნი. უნდა გვახსოვდეს, რომ ცურვაში მეტნაკლებად მოვარჯიშე 10 ათასი ბავშვიდან 1 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იზრდება.

საყურადღებოა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცურვის მცოდნეთა 70 პროცენტს ცურვა მშობლებისა და უფროსი მეგობრებისაგან აქვთ შესწავლილი.

ეს არცაა გასაკვირი, აბა, სცადეთ და ბავშვი ცურვის სექციაში მიიყვანეთ. იმდენი წინააღმდეგობა შეხვდებათ, რომ განზრახვაზე ხელს აიღებთ.

არადა, იყო დრო, როცა ცირკთან, სანაპიროზე, ფიზკულტურელთა პარკის აუზში შეგვეძლო დღევანდელი კურსით 20 კაპიკი გადაგეხადა და მერე თუნდაც მთელი დღე გეცურა. აქ მშობლები შვილებს ხშირად თავად ასწავლიდნენ ცურვას და ასრულებდნენ იმ შავ სამუშაოს, რომელიც ასე არ უყვართ ჩვენს მწვრთნელებს.

**სლავა კალანდაძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

**რედაქციისაგან:** მართლაც, საქართველოში ცურვა სამარცხვინოდ ჩამორჩა. ცურვის პრობლემებზე „ლელოს“ არაერთხელ გამოუქვეყნებია წერილები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ავტორები ძალზე იშვიათად თუ ყოფილან მწვრთნელები, სპეციალისტები. ამდენად, სასიამოვნოა, რომ დღეს ცურვის პრობლემებზე ხმა ამოიღო კიდევ ერთმა სპეციალისტმა. შესაძლოა ს. კალანდაძის სტატიაში ზოგი რამ სადავოა, მაგრამ მთავარია, რომ ავტორი ცურვის პრობლემებზე მსჯელობს. იმედია, ამ საკითხზე სხვა სპეციალისტებიც გაგვიზიარებენ თავიანთ აზრს.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ლიგა

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

● **I ლიგის** ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების განვლილ ტურში ქუთაისის ტორპედოელებმა შინ დაამარცხეს დონის როსტოვის არმიელთა გუნდი — 3:0. ბურთები გაიტანეს ბზიკაძემ, შავდათუაშვილმა და თორლაშვილმა (11-მეტრიანი).

ლვოვის „სკა — „კარპატისა“ და ბათუმის „დინამოს“ შეხვედრაში (2:1), ბათუმელთაგან ბურთი გაიტანა კაკილაშვილმა.

● **ლიგის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავინდებურად წინაა ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი მ. მეგრელაძე, რომელმაც 18 ბურთი გაიტანა. 17 გოლია ცსკა-ს თავდამსხმელის ვ. მასალიტინის ანგარიშზე. საუკეთესო ბომბარდირთა შორის არიან ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელები მ. ჟორდანია (12) და გ. გურული (11).

## პირველი ლიგის თასზე

**გაიმართა** I ლიგის ფეხბურთელთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი ტაშკენტის „ფახთაქორსა“ და სტავროპოლის „დინამოს“ შორის. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა უნდა შემდგარიყო ლანჩხუთის „გურიასა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ შორის, მაგრამ ვინაიდან „ნეფთჩი“ სათამაშოდ არ ჩამოვიდა ლანჩხუთში, მას დამარცხება ჩაეთვალა.

ამრიგად, I ლიგის თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „გურია“ და „ფახთაქორი“. თამაში 21 ოქტომბერს შედგება ნეიტრალურ მინდორზე.

## ევროპის საკლუბო ტურნირები

**ბულგარეთის** ქალაქ ბურგასში შედგა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის შესარჩევი წრის პირველი მატჩი ადგილობრივ „ჩერნომორეცსა“ და ალბანეთის „დინამოს“ (ტირანა) ფეხბურთელთა შორის. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, საპასუხო შეხვედრა გაიმართება ტირანაში, გამარჯვებული გუნდი გათამაშების მეთექვსმეტედფინალში შეხვდება ბუქარესტის „დინამოს“ (რუმინეთი).

## დაღუპულთა პატივსაცემად

10 წლის წინ ავიაკატასტროფაში დაიღუპა ტაშკენტის „ფახთაქორის“ ფეხბურთელთა გუნდი, მას მერე ტრადიციულად იმართება მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება.

წლევანდელი ტურნირი მეცხრედ მოეწყო. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტაშკენტის „ტრაქტორი“ და ნამანგანის „ნოვბახორი“.

საინტერესოა, რომ თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ ყრუ-მუნჯი ფეხბურთელები. წლევანდელ გათამაშებაში წარმატებას მიაღწია ტაშკენტის „ტრაქტორმა“.





### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ამ** ცოტა ხნის წინათ კუვეიტმა გადაწყვიტა მოეწყო ფეხბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა 42 ქვეყანა. ასპარეზობას სპეციალური სახელიც გამოუგონეს — ისლამის საფეხბურთო ტურნირი. მერე კუვეიტის ფეხბურთის ხელმძღვანელებმა თხოვნით მიმართეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ოფიციალურად გაეფორმებინათ შეჯიბრება. ფიფა-მ მოითხოვა ტურნირის სახელწოდების შეცვლა და მონაწილეთა რაოდენობის შემცირება 6-8 გუნდამდე, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც კი მხოლოდ 24 ნაკრები თამაშობს.

ამ შეზღუდვების საპასუხოდ კუვეიტმა ფიფა-ს 5 მილიონი დოლარი მოთხოვა ხარჯების კომპენსაციისთვის. საერთაშორისო ფედერაციამ საპასუხო „დარტყმა“ მოამზადა — კუვეიტი ან უკან წაიღებს თავის წინადადებას, ან ამ ქვეყნის ფედერაცია დისკვალიფიცირებული იქნებაო.

კუვეიტი დათმობაზე წავიდა, შეცვალა ტურნირის სახელწოდება, გუნდების რაოდენობა კი ჯერ უცვლელი დატოვა, შემდეგ კი თორმეტამდე შეამცირა. მაგრამ საქმეს არც ამან უშველა. შეჯიბრება საბოლოოდ გაუქმდა.

**იტალიის** მორიგი ჩემპიონატის დაწყებამდე 3 კვირით ადრე ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგნენ ფეხბურთელები, რომლებთანაც ჯერ არც ერთ კლუბს არა აქვს დადებული ხელშეკრულება. 45 ასეთი პროფესიონალი ფეხბურთელი შეიკრიბა ქალაქ ლიუჩას მახლობლად მდებარე იტალიის საფეხბურთო პროფკავშირის ბაზაზე. თუ რომელიმე ამ ფეხბურთელით დაინტერესდებიან იტალიის პირველი და მეორე ლიგების კლუბების ხელმძღვანელები, იგი უმუშევარი არ დარჩება.

**ცნობილი** ბულგარელი ფეხბურთის სპეციალისტი ივან ვუცოვი დანიშნეს ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის მწვრთნელად. როგორც ბულგარეთის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, ი. ვუცოვი პასუხისმგებელია ბულგარეთის ყველა ნაკრები გუნდის მზადებასა და გამოსვლებზე.

## სსრ კავშირის თასის გათამაშება რაგბიში

**გაიმართა** საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები. კრასნოიარსკის „ეტს“-მ უმასპინძლა ქუთაისის „აიას“ და გაიმარჯვა — 21:16 და პირველად ამ გუნდის ისტორიაში ფინალშიც გავიდა. მეორე ნახევარფინალში მოსკოვის „სლავამ“ შინ მოუგო ტაშკენტის „ზვეზდას“ — 19:12 (0:9).

ფინალური მატჩი მოსკოვში გაიმართება 15 ოქტომბერს.

# დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი

**შვეციის** ქალაქ შელეფტეოში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების უკანასკნელი, VI ეტაპის V ტური გათამაშდა. ვალერი სალოვი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან ერთად სათავეში ედგა გათამაშებას, ინგლისელ დიდოსტატ ნაიჯელ შორტთან დამარცხდა. დაზავდნენ კასპაროვი — ანდერსონი, ნანი — კარპოვი, საქსი — ტალი, პორტიში — ჰიუბნერი, ვაჰანიანი — ნიკოლიჩი, სეირავანი — რიბლი.

5 ტურის შემდეგ 3,5 ქულით დაწინაურდა გარი კასპაროვი. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან ვალერი სალოვი, ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 3-3, ანატოლი კარპოვი, იასერ სეირავანი (აშშ), ჯონ ნანი (ინგლისი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ), პრედრაგ ნიკოლიჩი, დიულა საქსი (ორივე — უნგრეთი), ულფ ანდერსონი (შვეცია) — 2,5-2,5, მიხეილ ტალი, რაფაელ ვაჰანიანი, ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 2-2, ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 0,5.

# ახალი პროგრამის თანახმად

**ამერიკის** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალი პროგრამის შესაბამისად მოწინავე სპორტსმენებისთვის, რომლებიც 1992 წლის ოლიმპიადისთვის ემზადებიან, გამოყოფილი იქნება 16 მილიონი დოლარი. აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის პრეს-დირექტორის მაიკ მორანის განცხადებით, ამ თანხიდან 1,4 მილიონი დოლარი უკვე მიიღო სპორტსმენთა ჯგუფმა, რომელშიც შედიან: მშვილდოსანი დარელ პეისი, სამთომოთხილამურე თამარა მაკკინი, მოცურავეები მეტ ბიონდი, ჯენეტ ევანსი, მერი მიგერი და ჯილ სტერკელი, ფრენბურთელები კარჩ კირალი და სტივ ტიმონსი, მოჭიდავეები ბრიუს ბაუმჰარტნერი და ჯონ სმითი...

მორანის განმარტებით სუბსიდირების მიზანია დაეხმაროს სპორტსმენებს მწვრთნელთა ფინანსურ წახალისებაში, სტადიონების, მოედნებისა და დარბაზების არენდის საფასურის გადახდაში, საყოფაცხოვრებო ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებაში. გადაწყდა ისიც, რომ ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში სპორტსმენს 10 ათას დოლარზე მეტი არ გადაუხადონ.

# სტარტზე... გადანერგილი გულით

**ასზე მეტი** ადამიანი, რომლებმაც გულის გადანერგვის ოპერაცია გადაიტანეს, შეიკრიბა ჰოლანდიის ქალაქ გორსაიში, სადაც საერთაშორისო შეჯიბრებები გაიმართა მათი მონაწილეობით. ასეთი თამაშები, ევროპის რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით, პირველად ტარდება. ტურნირის პროგრამაშია შეჯიბრებები ჩოგბურთში, ბადმინტონში და მძლეოსნობაში, მათ შორის, რბენა 3 და 5 ათას მეტრზე.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ყველა მონაწილე საკმაოდ ჯანმრთელია და ისინი მომზადებული არიან შეჯიბრებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მათს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, - აქ მაინც მზად არის სპეციალური სამედიცინო მოწყობილობები და მზადყოფნაშია ადგილობრივი საავადმყოფოები.

საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

# რეკორდი

**სპორტულ** ტერმინოლოგიაში საყოველთაოდ გავრცელებული ეს სიტყვა სრულიადაც არ არის უცხო საჭადრაკო კომპოზიტორებისათვის. რაიმე იდეის მრავალჯერადი განხორციელება ერთ ნაწარმოებში ხომ მის რეკორდულ ხასიათზე მეტყველებს. ასეთ რეკორდულ კომპოზიციებს ტასკებს უწოდებენ. მათ შორის არსებობს თემები, რომელთა სარეკორდო ჭერი თავისთავად არის წინასწარ განსაზღვრული. მაგალითად, ე. წ. „მაქსიმალური გაცოცხლების“ თემა, რაც პაიკის თავისებური გარდასახვის — ფიგურად გაყვანის ორიგინალური წესიდან გამომდინარეობს. მართლაც, განუმეორებელი ეფექტი აქვს უკანასკნელ ჰორიზონტალზე მოხვედრილი პაიკის რიგ-რიგობით შეცვლას სხვადასხვა ფიგურით, რომელთა სრული კომპლექტის განხორციელებას ოთხი ვარიანტი სჭირდება. უსუსტესი ფიგურის საოცარი კალეიდოსკოპური გარდაქმნა ლამაზ და უზადოდ შეკრულ თაიგულს გვაგონებს და მისი შექმნა მსოფლიოს მრავალ საჭადრაკო კომპოზიტორს იზიდავს.

აღსანიშნავია, რომ პირველი ტასკი — ოთხსვლიანი ამოცანა კომპლექსური გაცოცხლების თემაზე — ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინაა შექმნილი. შემდგომში ოთხჯერადი გაცოცხლების იდეა საყოველთაოდ პოპულარული გახდა კომპოზიციის ყველა ჟანრში. ამჟამად დაგროვდა მდიდარი კოლექცია, მაგრამ მისდამი ინტერესი და გამოსახვის ახალი გზების ძიება კომპოზიტორთა შორის ისევ აქტუალური რჩება.

**ჰ. ჰანემანი, 1962**



შამათი 2 სვლაში

ეს მეტად ორიგინალური და უნიკალური ნაწარმოები ტყუპი-ამოცანაა. აქ თეთრები თანდათანობით ხსნიან დაფიდან თავის ფიგურებს, მაგრამ თავის მთავარ მიზანს (მეფის დატყვევებას) მაინც აღწევენ: ა) დიაგრამა — 1.c8მ+! მფc6 2. ეc7X; ბ) f5 პაიკის გარეშე — 1. c8ე! მფe6 2. ეc6X; გ) დამატებით იხსნება მხედარი h6 — 1. c8კ! მფc6 2. ეh6X; დ) დამატებით იხსნება პაიკი c4 — 1. c8ლ! მფd5 2. ლd7X.

**ფ. აბდურახმანოვიჩი, 1958**



შამათი 2 სვლაში

ამ ორსვლიან ამოცანაში კი „გაცოცხლების“ ვარიაციები მცდარ კვლებშია წარმოდგენილი. 1. c8ლ? პატი; 1. c8ე? მფe6!; 1. c8კ? მფc4 2. კe6X, მაგრამ 1. ...მფc6!; 1. c8მ? მფc6; მფe6 2. ლd6X, მაგრამ 1. ...მფc4! ამოხსნა: 1. მe4! შავი მეფის პაიკების წრიულად „ვარსკვლავს“ ქმნის: 1. ...მფ:e4, მფc4, მფc6, მფe6, მაგრამ ლაზიერის შამათებისაგან ხსნა არ არის — 2. ლf3, ლf7, ლd6, ლf7X.

მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ „მაქსიგაცოცხლების“ თემაზე შედგენილ სამსვლიან ამოცანას, რომლის შინაარსი შავების საპატო დაცვების ფონზეა გაშლილი.

**ი. ბედერსენი, 1957**



შამათი 3 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

## ამოხსნა

„ლელოს“ 23 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ე. კამპონოვის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ლa8! ვაქვეყნებთ მათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა პასუხი: თ. მიქაუტაძე (ლელიანი, ლაგოდეხის რ.), გ. ელიოსიძე (ბორჯომი), ა. მარგველაშვილი (მუხიანი, წყალტუბოს რ.), გ. ლაცაბიძე (წყალტუბო), გ. კანდელაკი (ქუთაისი), რ. კახიძე (ბათუმი), ჟ. შელია (ზუგდიდი), მარიკა ჟღენტი და ნანა ჭკადუა (ორივე — სოხუმი), ი. რეხვიაშვილი, მ. ყოჩიაშვილი, ზ. ქველიაშვილი, მ. ყაულაშვილი (ყველა — რუსთავი), თამარ გაგულაშვილი, ვ. შავგულიძე, ზ. ფავლენიშვილი, ა. მიშველაძე, ლ. ბუაძე, ე. ცხადაძე, გ. გიქოშვილი, ო. მამულაშვილი (ყველა — თბილისი).

30 ივლისის ნომერში დაბეჭდილი კ. ჰანემანის ოთხჟანრიანი (ერთსვლიანი, ორსვლიანი, სამსვლიანი, ოთხსვლიანი) ამოცანის ამოხსნაა: ა) 1. e8ლX; ბ) 1. e8ე+ მფd7 2. ეe7X; გ) 1. e8კ d5 2. მფc6 de 3. კd7X; დ) 1. e8მ მფd7 2. მg7 d5 3. e5 და 4. e6X. უნიკალური ქმნილებაა, სადაც რეკორდული თემა — პაიკის „მაქსიგაცოცხლება“ ორიგინალურ ფორმაშია განხორციელებული. იგი პირველებმა ამოხსნეს: ო. ბენდელიანმა (ზუგდიდი), ზ. ფავლენიშვილმა, ო. მამულაშვილმა (ორივე — თბილისი).

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# სიუზან ლენგლენი

**„ღვთაებრივი სიუზანა“**. ასე ეძახდნენ მსოფლიო ჩოგბურთის აღიარებულ ვარსკვლავს, მაყურებელთა ყველაზე საყვარელ სპორტსმენს. 13 წლის ლენგლენი უკვე მონაწილეობდა საფრანგეთის სხვადასხვა ასპარეზობებში, 1919 წელს კი პირველ დიდ წარმატებას მიაღწია. გაიმარჯვა უიმბლდონის ტურნირში. 1920-23 წლებში და 1925 წელს მან ტრიუმფით მოიგო უიმბლდონის ხუთი გათამაშება (1924 წელს, ავადმყოფობის გამო, ვერ მიიღო მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში). მისი სახელი თითქმის ყოველდღიურად ჩნდებოდა მოწინავე გაზეთების ფურცლებზე.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდის აღიარებული ოსტატები ჩამბერსი, უაიტმენი, როიანი და მალორი არანაკლებ ტიტულოვანნი იყვნენ, ისინი სიუზან ლენგლენს მაინც ვერ უწევდნენ კონკურენციას პოპულარობაში.

იგი ფლობდა რაღაც განსაკუთრებულ თვისებებს. აი, როგორ აფასებდა მის თამაშს ლეგენდარული ტილდენი: „სიუზანა ყველაზე დიდი და საყურადღებო ფიგურაა ქალთა ჩოგბურთში. ეს მაგნიტია, რომელსაც შეუძლია, მიუხედავად ასაკისა, ნებისმიერი მაყურებლის მიზიდვა“.

იმ დროისთვის ლენგლენი დაუფლებული იყო ისეთ საკმაოდ ძლიერ მოწოდებას, ბევრ ვაჟსაც რომ შეშურდებოდა. მარჯვნიდან ურტყამდა ძალზედ სწრაფად და უცნაურად. მისი ჩაწოდება როგორც მოწინააღმდეგისათვის, ასევე მაყურებლისთვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა. თითქოს ბურთი მოედანს სცდებოდა, მაგრამ, ბრწყინვალე „მოჭრის“ წყალობით, იგი სწრაფად ეშვებოდა მოწინააღმდეგის ნახევარზე, რაც ყველესთვის აუღებელი გახლდათ. არანაკლებ სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს ლენგლენის დარტყმები მარცხენა მხრიდანაც. იგი ძალზე თავდაჯერებულად მოქმედებდა კორტზე, თამამად და გამიზნულად გადადიოდა შეტევაზე, მთლიანად აკონტროლებდა თამაშს, ამასთან მუდმივად ინარჩუნებდა კონტაქტს მაყურებელთან.

ამ აღზევების პერიოდში ვინ წარმოიდგენდა, რომ უიმბლდონის 50-ე საიუბილეო ასპარეზობა 1926 წელს ლენგლენისთვის უკანასკნელი აღმოჩნდებოდა.

შეჯიბრების დაწყებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონია, სადაც ინგლისის დედოფალი მონაწილეებს ურიგებდა სამახსოვრო მედლებს. მედლები გადაეცა ვეტერან ჩოგბურთელებსაც, ვინც უიმბლდონის ტურნირის პირველ გათამაშებებში გამოდიოდა.

მხურვალე ტაშით მიესალმა ტრიბუნები ჩოგბურთელების, განსაკუთრებით სიუზან ლენგლენის გამოჩენას და ამაღლებული განწყობილებით ელოდნენ შეჯიბრების მსვლელობას, მაგრამ სულ მალე მოხდა ის, რამაც მთელი ჩოგბურთის სამყარო სერიოზულად შეაშფოთა. ლენგლენმა, რომელიც ამ შეჯიბრებაზე თავის ტიტულს იცავდა, უეცრად გადაწყვიტა, გაეუქმებინა თავისი შეხვედრის შედეგები ერთეულთა თანრიგში, ხოლო მისი მონაწილეობა წყვილთა ასპარეზობაში საეჭვო გახდა. ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ მან უიმბლდონის ტურნირამდე წააგო შეხვედრა პულენ უილსთან. ამ მატჩში სიუზანამ მწვავე ტკივილი იგრძნო მარჯვენა მხრის არეში.

ამასთან, იგი უიმბლდონში მეტად გულდაწყვეტილი ჩავიდა. საფრანგეთის ფედერაციამ აუკრძალა მას მონაწილეობა წყვილთა ასპარეზობაში თავის ძველ პარტნიორ ამერიკელ რიიანთან ერთად (უნდა აღინიშნოს, რომ რიიანი გახლდათ უიმბლდონის ტურნირის 19-გზის გამარჯვებული, თუმცა არც ერთხელ არ მოუგია ერთეულთა თანრიგი). ლენგლენმა უიმბლდონში ჩამოსვლისთანავე შეიტყო, რომ პირველი შეხვედრა წყვილებში მოუწევდა თავისი უახლოესი მეგობრის წინააღმდეგ. ადრე უიმბლდონის კლუბის მდივანს ყოველ საღამოს მოჰქონდა მომდევნო დღის თამაშების განრიგი და ათანხმებდა მასთან. ასეთი ინდივიდუალური მიდგომა, უიმბლდონის ტურნირის გამონაკლისი იყო და მხოლოდ სიუზანისთვის კეთდებოდა. მაგრამ 1926 წელს შეიცვალა კლუბის მდივანი, მისმა მემკვიდრემ კი ამ „დაშვებულ“ ტრადიციას უღალატა. ერთ დღეს ლენგლენმა დატოვა კორტები, მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ შემდეგ დღეს შეხვდებოდა რიიანისა და ბრაუნის წყვილს, მაგრამ ხელმძღვანელობამ თამაშის განრიგი შეცვალა და ლენგლენს მეორე დღეს 2 საათზე დაუნიშნა ერთეულთა თანრიგის შეხვედრები. ამით მას, ესოდენ მნიშვნელოვან წყვილთა შეხვედრის წინ, მცირედი დასვენების საშუალებაც კი მოუსპეს.

განრიგის შეცვლის შესახებ ლენგლენმა მეორე დილით გაზეთის საშუალებით გაიგო, თამაშზე მხრის სამკურნალო პროცედურის გამო დაიგვიანა, რამაც ტურნირის ორგანიზატორების უკმაყოფილება გამოიწვია. განაწყენებულმა ჩოგბურთელმა პროტესტის ნიშნად გადაწყვიტა გაეუქმებინა ყველა თავისი შეხვედრის შედეგი. ამასაც დიდი აყიოტაჟი მოჰყვა, მით უმეტეს, რომ წყვილთა მატჩს თვით დედოფალი უნდა დასწრებოდა.

ლენგლენმა უარი განაცხადა თამაშზე. მაგრამ, ხანგრძლივი კამათისა და მოლაპარაკების შემდეგ, მისმა პარტნიორმა ჟან ბოროტრამ მაინც დაიყოლია ლენგლენი თამაშზე. გულშემატკივართა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლენგლენის უარმა ერთეულთა თანრიგში მონაწილეობაზე. მიუხედავად ამისა, მაყურებელი მოუთმენლად ელოდა წყვილთა ასპარეზობას, სადაც მას დიდი ვლასტთან ერთად უნდა ეთამაშა.

ეს მატჩი, მართლაც, მთელი დრამატიზმით აღსავსე გამოდგა. პირველ პარტიაში გამარჯვება ფრანგებს დარჩათ, მეორეში მათ ორჯერ ჰქონდათ „მატჩ-ბოლი“, მაგრამ საბოლოოდ წარმატებას მაინც ამერიკელებმა მიაღწიეს (3:6, 9:7, 6:2). ლენგლენისთვის ეს იყო მომქანცველი ბრძოლა, სადაც ყოველ დარტყმას აუტანელი ტკივილი მოსდევდა მხრის არეში.

მეორე დღეს სიუზან ლენგლენი უკანასკნელად გამოვიდა უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ჟან ბოროტრასთან ერთად შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. მათ პირველ ეტაპზე ინგლისელების წინააღმდეგ ითამაშეს და საკმაოდ ადვილად გაიმარჯვეს, მაგრამ მხრის საშინელი ტკივილის გამო ლენგლენი იძულებული გახდა შეეწყვიტა მონაწილეობა პრესტიჟულ ტურნირში და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

დიდი ფიზიკური და ნერვული დატვირთვა, რომელიც საერთაშორისო ტურნირების მონაწილეებს აწევთ, ლენგლენისათვის მძიმე ტვირთად იქცა, 27 წლის უიღბლო ჩოგბურთელი გადავიდა პროფესიონალებში, სადაც პერიოდულად აწყობდა საჩვენებელ გამოსვლებს. იყო დრო, მას კლუბისთვის და ორგანიზატორებისათვის ექსნიშნა თანხა მოჰქონდა, ბოლო დროს კი ძლივსღა ირჩენდა თავს. პროფესიონალებში გადასვლით, მისმა ფინანსურმა მხარემ შევსება ვერ მიიღო. მოგვიანებით იგი ხელმძღვანელობდა საჩოგბურთო სკოლას პარიზში. ლენგლენი უდროოდ გარდაიცვალა 1938 წელს სისხლის დაავადებით.

**ალექსანდრე ჯიბლაძე.**

„სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 33-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 13 აგვისტოს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** დაშვებულია 1.551.111 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (16) მოგება 4.487 მანეთია, ოთხისთვის (1.304) — 59, სამისთვის (27.232) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 19141 ვარიანტი. 6—0, 5—1, 4—35, 3 — 778.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** დაშვებულია 16.305.539 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (37) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (6.876) — 131, სამისთვის (192.769) — 7.

საქართველოში: დაშვებულია 232922 ვარიანტი. 5—4 (ყველა — ბორჯომი), 4—170, 3—5675.

33-ე ტირაჟისა და 24-33 ტირაჟებში მონაწილე ატტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 28 აგვისტოდან 28 სექტემბრის ჩათვლით.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00384